ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების, მოსაცდელეების მოწყობა - რეაბილიტაცია.</p> <p>ასევე განხორციელდება ქალაქ მცხეთის სკვერებში არსებული სასმელი წყლის და შადრევნის წყლის ხარჯის დაფინანსება.</p> <p>მიმდინარე წელს დაფინანსდება სკვერების რეაბილიტაცია სოფლებში: წილკანი, ნიჩბისი, წეროვანი (კვლევიტი ინსტიტუტის დასახლება), ჯილაურა, ქსანი, ნავდარაანთკარი; დაგეგმილია ქ. მცხეთაში, ღარტიკარის დასახლებაში, გმირის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში, ნარეკვავის დასახლებაში, სააკაძის ქუჩის ბოლოში არსებული სკვერის მოწყობა, ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული არსენას სკვერის რეაბილიტაცია და ტრენაჟორების მოწყობა, ქ. მცხეთა, ღარტიკარის დასახლებაში არსებული სარეკრეაციო დასასვენებელი ზონების (სამხედროს N12 და N12 ა ქუჩაზე სკვერების) რეაბილიტაცია, სოფ. წინამძღვრიანთკარში სკვერის მოწყობა, სოფ. ციხისძირში არსებული სკვერების (ს/კ72.10.03.337 და N8 კორპუსის მიმდებარედ) რეაბილიტაცია, სოფ. ქსანში ახალი სკვერის (ს/კ72.10.08.127) მოწყობა, სოფ. ძალისში სკვერის მოწყობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>აღდგენილი და ახლად მოწყობილი სკვერები და მოსაცდელეები;</p> <p>მოსახლეობისთვის შექმნილი კომფორტული საცხოვრებელი გარემო.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 02		74.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ბორდიურების და კედლების სარემონტო სამუშაოები, განათების ბომების და მოაჯირების შეღებვა, ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ატრაქციონების და სკამების შეკეთება. დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	წლის მანძილზე შეკეთებული დაზიანებული ბორდიურები და კედლები, ასევე შეღებილი მოაჯირები, განათების ბომები და სკამები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სადღესასწაულო ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 03		108.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო ღონისძიებების, განსაკუთრებით, მცხეთობის და საახალწლო ღონისძიებების უზრუნველყოფას, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნასა და მოსახლეობის განწყობის ამაღლებას. საახალწლოდ შესაბამისად განხორციელდება ქალაქის მორთვა საახალწლო დეკორატიული განათებით; მოირთვება ქალაქ მცხეთის ცენტრალური მოედანი, შადრევანი და მიმდებარე ქუჩები. ასევე, განხორციელდება ქალაქის გაფორმება სხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქის საახალწლო დეკორაციებით გაფორმების სამუშაოები: საახალწლო ნათურების მონტაჟი, ქალაქში მთავარი ნაძვის ხის მონტაჟი/დემონტაჟის ღონისძიებები და სხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის ქალაქის გაფორმება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>სადღესასწაულო დღეებში მორთული ქალაქი;</p> <p>მოსახლეობის სადღესასწაულო განწყობის ამაღლება.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 04		419.7
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;</p> <p>მიმდინარე წელს დაფინანსდება ქ. მცხეთაში სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი და კეთილმოწყობილი სასაფლაოს ტერიტორია		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07		1,075.3
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
პროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის დასახლებებში (სოფლებში) სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების დაფინანსება, დასახლებების საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში;</p> <p>იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა;</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 08		989.0



პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების მოწყობა, კოლექტორების და მილგაყვანილობის რეაბილიტაცია ჩამდინარე წყლის (წვიმის ან სხვა სახის ჩამდინარე წყლის) წარმოშობის ადგილიდან ზედაპირული წყლების ადგილამდე გასატანად, ასევე, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სარწყავი არხების გაწმენდა მუნიციპალიტეტის სოფლებში.</p> <p>მიმდინარე წელს დაფინანსდება სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია სოფ. ძალისში, წილკანში და გალავანში; სოფ. ბიწმენდში, ახატანის ხევში, ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა; ქ. მცხეთაში, ღართიკარის დასახლებაში არხის მოწყობა, სოფ. ქსოვრისში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა, სოფ. წეროვანში მიწისქვეშა გადასასვლელთან რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და შეკეთებული სანიაღვრე არხები, სარწყავი არხები და ნაპირსამაგრი ნაგებობები, მათი გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 09		1,092.1
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს, პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები.</p> <p>პროგრამის მიზანია, დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის, ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით, საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღების უზრუნველყოფა და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაცია.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 10		4,523.3
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, სამშენებლო სამუშაოების და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების აღდგენითი სამუშაოები, ქ. მცხეთაში, აღმაშენებლის ქ. N158-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის დამწვარი სახურავის აღდგენა, სოფ. ლისი-მუხათწყაროს სტიქიით დაზიანებული გზის აღდგენა, სოფ. ლისში და მსხალდიდში სტიქიის შედეგად დაზიანებული კედლების აღდგენა, სოფ. მუხათწყაროში და მსხალდიდში, მოსახლეობის ნიაღვრისაგან დაცვის მიზნით, სანიაღვრეების მოწყობა; სოფ. ნიჩბისში საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის აღდგენა;</p>		
	დროულად აღმოფხვრილი სტიქიური მოვლენების შედეგები;		



მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 167,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,167.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2,455.0
03 02	მწვანე ნარჩენების გაშენება, მოვლა-პატრონობა	632.0
03 02 01	მოვლა-პატრონობა	132.0
03 02 02	მწვანე ნარჩენების გაშენება	500.0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	80.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		2,455.0

პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“
-----------------------------	--

პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მცხეთის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები.</p> <p>დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი, როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე, ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ ახორციელებს ქალაქ მცხეთისა (მათ შორის, ქალაქის სასაფლაოს ტერიტორია) და მუნიციპალიტეტში შემავალი 22 ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 10 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. ნარჩენების გატანა ხორციელდება ქ. მცხეთიდან და მუნიციპალიტეტის 40 სოფლიდან (სულ 62 სოფელია), ესენია: ქსანი, ციხისძირი, წეროვანი, ჩარდახი, გოროვანი, სხალტა, ქსოვრისი, ვარდისუბანი, ვაზიანი, მუხრანი, პატარა ქანდა, ძველი ქანდა, მალისი, წილკანი, ერედა, სელექციის დასახლება, მისაქციელი, ადგომლიანთკარი, ფრეხეთი, უფურეთი, ახალდაბა, ნატახტარი, ახალუბანი, ნავაზი, საგურამო, ახალსოფელი, წიწამური, არაშენდა, ჯილაურა, ბიწმენდი, გალავანი, წინამძღვრიანთკარი, ზაქარო, ნავდარანთკარი, კოტორანთკარი, ჭილაანთკარი, ბურიანი, ცხვარიჭამია, თეხამი, კველიანი, მშრალხევი, ლელუბანი, მამკოდა, ძეგვი, ხეკორძი, ლისი, წოდორეთი, ბევრეთი, ტაბარუკი, ლელობი, ძალაანთხევი, მსხალდიდი, მუხათწყარო, ნაფეტვრები, ნახშირგორა, ქვემო ნიჩბისი, ახალი ნიჩბისი, ზემო ნიჩბისი, სასხორი, წეროვნის, წილკნის და ფრეხეთის ლტოლვილთა დასახლება. შეგროვებული ნარჩენები გადის კასპის ნაგავსაყრელზე.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 50 ტონა ნარჩენი, რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 10 ნაგავმზიდი. მცხეთის მუნიციპალიტეტში სულ განთავსებულია 1200 ურნა. მათ შორის, ქ. მცხეთის ტერიტორიაზე 190, ხოლო სოფლებში - 912 ურნა.</p> <p>ყოველდღიურად ხდება ქ.მცხეთის 179,420 კვ.მ. ფართობის ქუჩების დავა-დასუფთავება, კოკისპირული წვიმების შედეგად ქუჩების მექანიკური გაწმენდა, ჩამოტანილი ქვიშისა და ნარჩენებისაგან წყლის წნევით ჩარეცხვა, ზამთარში ტექნიკური მარლის მოყრა.</p> <p>მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან, კერძოდ: ქალაქ მცხეთიდან და საგურამოდან ყოველდღიურად დღეში</p>
----------------------------	---



	<p>ორჯერ, ხოლო სოფლებიდან და ორგანიზაციებიდან დღეგამომავლებით ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა კასპის ნაგავსაყრელზე (დღეში 40 ტონა ნარჩენები).</p> <p>პროგრამის ფარგლებში სისტემატიურად ხორციელდება ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული 2426 გრმ/მ სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა წვიმის ნიაღვრისაგან ჩამოტანილი ნარჩენებისგან. დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები მოიცავს ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ ადმინისტრაციულ ხარჯებს.</p>
მოსალოდნელი შედეგი	ეკოლოგიური და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02		632.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ჩატარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, ხე მცენარეების გადაბეღვა; ასევე განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეღვითი სამუშაოები.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქ მცხეთის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი, გამწვანებული სკვერები; გაუმჯობესებული ეკოლოგიური მდგომარეობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 04		80.0
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების დეჰუმეტიზაციის (ჭიაზე დამუშავება), დაჭერა-იზოლაციის, სტერილიზაციის, კასტრაციის, ვაქცინაციის (ანტირაბიული) და იდენტიფიკაციის (დანომრილი საჭდის ყურზე დამაგრება) მომსახურების შესყიდვა. პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან თავშესაფარში გადაყვანილი უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლები.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6 708,0 ათასი ლარი. განათლების



პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიხედვით და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
04 00	განათლება	6,708.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	5,710.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	341.0
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	657.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		5,710.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით, აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. მცხეთის მუნიციპალიტეტის ერთერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.</p> <p>2022 წლიდან მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იფუნქციონირებს 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გაივლის 2200-ზე მეტი ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას. ბავა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 690 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი.</p> <p>დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.</p> <p>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშვო ბაღის მომსახურებით, შესაბამისი სააღმზრდელო პროცესით, სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მისაღებად.</p> <p>პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის, სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები.</p> <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა კვების ორგანიზება ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. კერძოდ, ყოველდღიურად კვების რეჟიმი შედგება 3 ძირითადი კვებისა და წახემსებისგან საუზმესა და სადილს შორის (საუზმე, ლანჩი, სადილი, სამხარი).</p> <p>საბავშვო ბაღებში განახლებულია კვების რაციონი, 10-დღიან პერსპექტიულ მენიუზე დაყრდნობით ბავშვებს მიეწოდებათ მრავალფეროვანი და ბალანსირებული საკვები. კვების ყველა ის პროდუქტი, რომლითაც მარაგდება საბავშვო ბავა-ბაღები, აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კვების ორგანიზებისას დიდი ყურადღება ექცევა ჰიგიენური ნორმების დაცვას, მათ შორის: კვების ბლოკის აღჭურვილობის, პროდუქტების შენახვისა და სურსათის მომზადების მოთხოვნებს.</p>		
	მცხეთის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო დაწესებულებებში სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებული		



მოსალოდნელი შედეგი	<p>ბავშვის განვითარებისთვის შექმნილი გარემო;</p> <p>აღსაზრდელების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად დაცული სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულებების ნორმები;</p> <p>სამუშაო პირობებით უზრუნველყოფილი სააღმზრდელო დაწესებულებების და ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი;</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები დაახლოებით 2200 შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2022 წლის დაფინანსება
	04 02		ათას ლარში
			341.0
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობის მიზნით დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, არსებულის რეაბილიტაცია, კაპიტალური შეკეთება.</p> <p>მიმდინარე წელს დაფინანსდება საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია სოფლებში: ჩარდახი, ქსანი; მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში საქვაბუების გარეთ გამოტანა, საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა სოფ. ლისში და სოფ. ნატახტარში.</p> <p>პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის: სკოლამდელ დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მაქსიმალური გამტარუნარიანობის მიზნით საბავშვო ბაგა-ბაღების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა; სკოლამდელი დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება
	04 04		ათას ლარში
			657.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით, მიმდინარე წელს დაფინანსდება სოფ. ქსნის საჯარო სკოლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.</p> <p>ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით განხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოს საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეების წახალისება 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობის ფულადი ჯილდოთი.</p> <p>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა, წარმატებული სწავლისათვის უმაღლეს შეფასებასთან ერთად ფულადი ჯილდოც დაიმსახურონ.</p>		



	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა საჯარო სკოლებში;
მოსალოდნელი შედეგი	ტრანსპორტით უზუნველყოფილი საჯარო სკოლის მოსწავლეები; სტიმული მოსწავლეებისათვის, მეტი დრო გაატარონ წიგნებთან.

მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6 428,4 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	6,428.4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	4,242.5
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,540.5
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	256.3
05 01 01 02	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	270.0
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	349.4
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	202.4
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	462.5
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2,702.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,185.9
05 02 01	კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა	1,188.3
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	1,146.3
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	42.0
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	736.4
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	20.0
05 02 05	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	241.3

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		1,540.5
ქვეპროგრამის განმარტებული	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“;		
	ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია“;		
	ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“;		



სამსახური	<p>ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“;</p> <p>ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“</p>
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სპორტული დაწესებულებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“; - ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია“; - ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“; - ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“; - ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“. <p>პროგრამის მიზანია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში;</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები;</p> <p>წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		256.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ქვეპროგრამა განხორციელდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ ბაზაზე. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. სკოლაში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 17 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში სკოლაში ვარჯიშობს 350 ბავშვი. საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს 9 სოფელში და ქ. მცხეთაში. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს ლებულოზს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებში.</p> <p>ასევე, სკოლის აღსაზრდელები - სულ 17 გუნდი, მონაწილეობას იღებენ მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური ტურნირების 3 ასაკობრივ ჩემპიონატში.</p> <p>2022 წელს გაიმართება ტურნირები: მცხეთა-მთიანეთის რეგიონის პირველობაზე, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით. პირველი წრის შემდეგ ვლადიმერ მარლანის სახელობის თასის გათამაშების ჩემპიონატში მცხეთის „მცხეთა“ და მუხრანის „მუხრანი“ იკავებენ I-II ადგილებს, ხოლო მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ პირველობაზე სკოლის გუნდები სამივე ასაკში არიან I-II-III ადგილებზე.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილეობის, გუნდების მივლინებების, გუნდების ეკვიპირების და სხვა ხარჯები.</p> <p>დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.</p> <p>ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მეტი მოზარდის ჩართვას ფეხბურთში.</p>	



მოსალოდნელი შედეგი	წლიდან წლამდე ფეხბურთით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა.
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კანონისა და ნიშნის ნიშნის განვითარების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 02		270.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანონისა და ნიშნის ნიშნის აკადემია“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნიშნის ნიშნის სხვადასხვა სახეობის (აკადემიური, კანონი, ბაიბარა) განვითარება. აკადემიაში ამ ეტაპზე 8 ჯგუფია, ნიშნის ნიშნის ეუფლება 80-მდე სპორტსმენი. ქვეპროგრამის ფარგლებში ეწყობა ტურნირები, მათ შორის, მცხეთიდან დაკავშირებული ტრადიციული ტურნირი. ასევე, აკადემიის სპორტსმენები მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. აკადემიის აღსაზრდელები ირიცხებიან საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში და ქვეყნის სახელით მონაწილეობენ საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში (4 სპორტსმენი).</p> <p>ქვეპროგრამით გამოყოფილი თანხები ასევე ხმარდება აკადემიის თანამშრომლების (23 ადამიანი) ხელფასებს, შეჯიბრების ორგანიზების ხარჯებს, სპორტსმენებისთვის ინვენტარის შეძენას და ნიშნის ნიშნის განვითარებასთან დაკავშირებულ აუცილებელ დანახარჯებს.</p> <p>ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში აკადემიის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი ჩემპიონატებისათვის; ბავშვთა და მოზარდთა მასშტაბური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, მათი მეთოდური აღზრდა-დაოსტატება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		349.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“,		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტში ძიუდოს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია, საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის უმაღლესი კვალიფიციური სპორტსმენების მომზადება და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა ადგილობრივ თუ საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ტურნირებში, შეჯიბრებებსა და ტურნირებში მონაწილე სკოლის ნიჭიერი / წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება, წახალისება ფულადი / ფასიანი საჩუქრებით, ასევე, ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება. დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.</p> <p>სკოლის აღსაზრდელები საწვრთნელ პროცესს გადიან ქ. მცხეთასა და მუნიციპალიტეტის 8 სოფელში. ჯამში სკოლის აღსაზრდელთა რაოდენობა შეადგენს 300-ზე მეტ ნორჩ მოჭიდავეს.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში;</p> <p>ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.</p>		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		202.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“. სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლაში კვალიფიცირებული მწვრთნელ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით ფუნქციონირებს ჭადრაკის, კარატეს, ტაეკვონდოს, ველოსპორტის, კალათბურთის, ფრენბურთის, კრივის 15 სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფი, სადაც მეცადინეობს 227 მოსწავლე.</p> <p>წლის ბოლოს დაგეგმილია საუკეთესო სპორტსმენების და მწვრთნელების გამოვლენა და შესაძლებლობის ფარგლებში მათი წახალისება.</p> <p>სასპორტო სკოლაში დასაქმებულია 23 ადამიანი. დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდი.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა რეგიონის და ქვეყნის მასშტაბით, მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები;</p> <p>წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 05		462.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული სპორტული სივრცის მაქსიმალურად ათვისება და ამ მიზნით სხვადასხვა სახეობის სივრცეების მოწყობა, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, საცურაო აუზების შესაბამისი ექსპლუატაცია, რათა საცურაო აუზები გამოყენებულ იქნეს, როგორც ცურვის შესასწავლად, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი თვალსაზრისით.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. ცურვის ფედერაციის და სპორტის სხვადასხვა დაწესებულებების მიერ ორგანიზებული შეჯიბრებების გამართვის ხელშეწყობა.</p> <p>იგეგმება დარბაზის სრულად დატვირთვა, სადაც მსურველებს საშუალება ექნებათ დაკავდნენ კალათბურთით, დარბაზის ფეხბურთით, ფრენბურთით. სასურველია ჭიდაობის და კარატეს ლეიბების შექმნა. ასევე, იგეგმება სატრენაჟორო დარბაზის სრულად დატვირთვა. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად გაზრდის კომპლექსით მოსარგებლეთა რაოდენობას.</p> <p>პროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, ხარისხიანი მომსახურების მიწოდება, მათი მეთოდური აღზრდა-დაოსტატება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა საწყლოსნო და სპორტის სხვა სახეობებისადმი;</p> <p>ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.</p>		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		2,702.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა სახეობებში სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა, საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქ. მცხეთაში, თეატრონის მიმდებარედ საკალათბურთო ღია მოედნის და ნარეკავის დასახლებაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა, სოფ. საგურამოში, ძველ ქანდაში და არაშენადში მინი სტადიონების მოწყობა, სოფ. მუხრანში ტრენაჟორების მოწყობა და მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა, სოფ. ძეგვში მინი სპორტული მოედნის მოწყობა, სოფ. წეროვანში არსებული შენობის სპორტულ დარბაზად გადაკეთების და რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ მუხრანში, მინი სპორტული მოედნის მოწყობა.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია, გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.</p> <p>სპორტის პოპულარიზაცია.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		1,146.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მცხეთის მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს მძლავრი სექტორის ჩამოყალიბება.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“, რომელიც აერთიანებს მუნიციპალიტეტში არსებულ კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის მცხეთის კულტურის ცენტრს, 4 კულტურის სახლს, 1 ხელოვნების სკოლას, 2 მუსიკალურ სკოლას, 13 ბიბლიოთეკას.</p> <p>კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის მცხეთის კულტურის ცენტრში გაერთიანებულია: ბავშვთა საესტრადო და ქორეოგრაფიული წრეები (სწავლის პროგრამაში მონაწილეობს 400- მდე აღსაზრდელი), ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები (ჩართულია 100-მდე მონაწილე).</p> <p>მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 4 კულტურის სახლი, რომლებიც სოფლის მოსახლეობას სთავაზობენ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს.</p> <p>მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს საშუალოდ 94160 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2000 მოქალაქე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუსიკალური მიმართულებით მოსახლეობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა.</p>		
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირება;			



მოსალოდნელი შედეგი	კულტურული ტრადიციების დაცვა; მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში.
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუზეუმების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 04		42.0
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“. სახლ-მუზეუმის კომპლექსი მოიცავს ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის საცხოვრებელ სახლს დამხმარე ნაგებობებით და ჭავჭავაძისეულ მამულს ბად-ვენახით. მუზეუმის სტაციონალურ ექსპოზიციაში წარმოდგენილია მწერლის მემორიალური ნივთები, მე-19 საუკუნის ქართული კულტურის წარმომადგენელთა ფოტოპორტრეტები და ეპოქის ყოფის ამსახველი ფოტომასალები, მწერლის ხელნაწერები, მისივე გამოცემული პერიოდიკის ნიმუშები.		
მოსალოდნელი შედეგი	განათლების დონის ინტელექტისა და კულტურის ამაღლება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		736.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა. მიმდინარე წელს დაფინანსდება კულტურის სახლების რეაბილიტაცია სოფელ ციხისძირში, ერედაში და საგურამოში..		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში. მოსახლეობაში ტრადიციების შენარჩუნება; კულტურული ტრადიციების დაცვა.		

ქვეპროგრამის	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
--------------	------	-------------------------------------	-------------------------------------



დასახელება	05 02 04	20.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები.	
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობაში ტრადიციების შენარჩუნება.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება
	05 02 05		ათას ლარში 241.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ასევე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვა, მათი მოვლა-პატრონობისა და დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება, ტურიზმისა და საკურორტო სფეროში მუნიციპალური პრიორიტეტებისა და სტრატეგიების შემუშავება, ზედაპირული არქეოლოგიური კვლევით არტეფაქტების გამოვლენა-შენარჩუნება, ტექნიკური და ინსტიტუციონალური ღონისძიებებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ვიზიტორთათვის მეტი სარგებლიანობის და ცენტრის შესაბამისი საორგანიზაციო ხარჯების უზრუნველყოფა.</p> <p>მიმდინარეობს შემდეგ პროექტებზე მუშაობა:</p> <ul style="list-style-type: none"> „ გადავარჩინოთ მცხეთის ისტორიული ხიდი“; „ მცხეთის ისტორიული-ლანდშაფტური ეროვნული პარკი“; „ თეატრონის რევიტალიზაციის პროექტი“; „ ფარნავაზის მოედნის რევიტალიზაციის პროექტი“. <p>ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული ინფორმაციის შესწავლა და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;</p> <p>ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ობიექტების ფიქსაცია.</p>		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2 510,1 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,510.1
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,716.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	284.8
06 01 02	მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება	900.0
06 01 03	ჯანდაცვის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	531.3
06 02	სოციალური დაცვა	794.1
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	490.2
06 02 02	ერთჯერადი სოციალური დახმარება	100.0
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	4.0
06 02 04	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	28.4
06 02 05	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	75.7
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	95.8

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		284.8
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში (199.0 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი საკუთარი სახსრების ფარგლებში (52,0 ათასი ლარი) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას,</p> <p>კერძოდ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი); 2. იმუნიზაცია; 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა; 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა; 5. თამბაქოს კონტროლი; 6. ინტეგრირებული სკრინინგის(C ჰეპატიტი, შიდსი, ტუბერკულოზი) განხორციელება; 7. გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; 8. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა. 		
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობა, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნა.		



